



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახლმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 17-18 მაისი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 22 ივნისი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბიოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ბიოლოგია 0511
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 153 , 3.07.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბესარიონ ლასარეიშვილი - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ღაჭავაძე - სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციციშვილი - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრულია ბიოლოგიის დოქტორის მოსამზადებლად. იგი აგებულია უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად და უზრუნველყოფს სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობისათვის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კვალიფიციური მეცნიერის ჩამოყალიბებას, რომელიც წარმატებით განახორციელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას სწავლების სამივე აკადემიურ საფეხურზე; შეძლებს ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაციას, ტრანსფორმაციას; იქნება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე ორიენტირებული, კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური, დროის მოთხოვნის შესაბამისი მკვლევარი.

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კვლევები ძირითადად ხორციელდება ჰიდრობიოლოგიისა და მცენარეთა ბიომრავალფეროვნების მიმართულებით, ასევე მცენარეთა გენეტიკის მიმართულებით ბუნებრივი და აგროეკოსისტემების გენეტიკური მონიტორინგი სხვადასხვა გენეტიკური ტესტ-სისტემის გამოყენებით, ადამიანის პოპულაციურ-გენეტიკური მიმართულებით, კერძოდ, აჭარის რეგიონის მოსახლეობის გენეტიკური თავისებურებების (სისხლის ერთროციტული, ლეიკოციტური, თრომბოციტური ანტიგენების მაკოდირებელი გენების; გერონტოლოგიის საკითხები) შესწავლა; სხვადასხვა დაავადების გენეტიკური, იმუნოლოგიური და მიკრობიოლოგიური კვლევა და სხვა.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ორი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება: სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებისაგან. პროგრამის მოცულობა არის 60 ECTS (1 კრედიტის მოცულობა – 25 საათი), რომელიც სასწავლო კომპონენტებისთვისაა განკუთვნილი და ნაწილდება შემდეგი სახით:

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები - 35 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსი - 5 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები 20 კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტი ვალდებულია მოამზადოს ორი სადოქტორო სემინარი.

სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებულია დოქტორანტის ორი კოლოკვიუმი, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომის ნაწილია.

ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ბიოლოგიის დოქტორი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 4 21 0000410849) მიხედვით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ სააკრედიტაციო შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად განხორციელდა დისტანციურად მიმდინარე წლის 17 და 18 მაისს, 18 მაისს მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასწავლო აუდიტორიები, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა) ადგილზე დათვალიერება.

ვიზიტამდე დისტანციურად ჩატარდა მოსამზადებელი შეხვედრა და ჯგუფის წევრებმა ერთმანეთში გაცვალეს უსდ-ს მიერ გადმოგზავნილი მასალების გაცნობის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებები, ჩამოაყალიბეს საკითხები და სავარაუდო კითხვების ჩამონათვალი/საინტერესო საკითხები, რომლებიც გარკვეული იქნებოდა ვიზიტის დღეს სხვადასხვა ჯგუფებთან გასაუბრებისას, ასევე ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა დღის წესრიგის დაცვით ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ორი დღის განმავლობაში სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე, ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა და უსდ-ს მხრიდან უზრუნველყოფილი იყო პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, რათა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონოდა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. დაწესებულებამ ასევე შექმნა ყველა პირობა უნივერსიტეტში ადგილზე ექსპერტების მხრიდან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებისთვის.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ბოლოს უსდ-ს გააცნო დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუების საფუძველზე გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან: 2.3 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.2, 2.4, 2.5 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1.1. გადაიხედოს პროგრამის მიზნები, დაზუსტდეს, ჩამოყალიბდეს უფრო მარტივად, მოკლედ და მკაფიოდ, რათა გასაგები იყოს პროგრამით დაინტერესებული პირებისთვის (აბიტურიენტები, სტუდენტები, დამსაქმებელი და სხვ.).

1.2 გადაიხედოს პროგრამის ის სწავლის შედეგები, რომლებიც აერთიანებს რამდენიმე შედეგს, დაზუსტდეს, ჩამოყალიბდეს ლაკონურად და აქტიური ზმნის გამოყენებით აწმყო დროში, რომ პროგრამის სწავლის შედეგები გასაგები იყოს დაინტერესებული პირებისთვის (აბიტურიენტი, სტუდენტი, დამსაქმებელი და სხვ.). დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით კორექტირდეს კურიკულუმის რუკა.

2.3. გადახედვილ იქნას სილაბუსების თემატიკები და აღმოიფხვრას თემების, ძირითადი სასწავლო ლიტერატურის დუბლირება ამავე და სხვა საფეხურის სასწავლო კურსებთან

2.3 გადახედვილ იქნას სილაბუსების თემატიკები და შესაბამისი რელევანტური ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები იქნას მითითებული

2.3 გადახედვილ იქნას სასწავლო კურსების თემატიკები და საჭიროების შესაბამისად გაუკეთდეს კორექცია (ჩაემატოს ან ამოღებულ იქნას).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.1. სასურველია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და მოხდეს მათი ჩამოყალიბება აქტიური ზმნების (ბლუმის ტაქსონომია) გამოყენებით სამივე კომპეტენციის მიხედვით;

1.2 სასურველია შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები (განსაკუთრებით პირველი და მეორე) და ჩამოყალიბდეს მოკლედ, მარტივად და მკაფიოდ;

1.2 სასურველია დაიხვეწოს პროგრამის მე-4 შედეგი, გადაიხედოს მე-6 სწავლის შედეგის შესაბამისობა კომპეტენციის - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა აღმწერთან;

1.2 სასურველია პროგრამის სწავლის მე-3 და მე-5 შედეგი არ იმეორებდეს მე-8 დონის აღმწერს.

2.1 უცხო ენის მისაღები გამოცდა ჩატარდეს ექსკლუზიურად ინგლისურში.

2.2 შესთავაზონ დარგობრივი ინგლისური ენის არჩევითი კურსი

2.4. გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა

2.4. უნივერსიტეტში შეიქმნას ბიოეთიკის საუნივერსიტეტო კომიტეტი/საბჭო ან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდეს სხვა დაწესებულების ბიოეთიკის საბჭოსთან

5.1. დაკორექტირდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 15 ივნისის N37 დადგენილების ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი და მოვიდეს თავსებადობაში საკანონმდებლო ნორმებთან;

5.1. რეგულარულად მომზადდეს ვოკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით.

5.2. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების და მისი საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიური შეფასება საერთაშორისო ექსპერტთა მიერ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების საკითხები

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უსდ-ს არგუმენტირებული პასუხი დასკვნის პროექტში ასახულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და არ გაიზიარა ის.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- პროგრამაში გალიერებულია იმ სასწავლო კურსების სწავლება, რომელიც რეგიონში დასაქმებას შეუწყობს ხელს. ეს სასწავლო კურსები ასეთი დოზით სხვა უნივერსიტეტების ბიოლოგიის პროგრამებზე არ არის წარმოდგენილი და უდაოდ წინამდებარე პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.
- შემდეგი საგნების სწავლება: 1. პროფესორის ასისტენტი, 2. სემინარი დარგში და ქვედარგში, 3. ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები, 4. მიკრობიოლოგიური კვლევის მეთოდები - ამ საგნების შინაარსი და მათ სილაბუსებში გათვალისწინებული აქტივობა ძლიერ სასარგებლო იქნება დოქტორანტის სამეცნიერო-პედაგოგიური განვითარებისთვის.
- საუნივერსიტეტო ელექტრონული პორტალი, რომლის საინფორმაციო მონაცემები მაქსიმალურად ზუსტ ინფორმაციას იძლევა შიდა ხარისხის განვითარების ზუსტად დაგეგმის მიზნით.
- იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისთვის მკვლევარების და აკადემიური პერსონალის მატერიალური წახალისების მექანიზმები
- სამეცნიერო კვლევების სანივერსიტეტო კონკურსების უზრუნველყოფა და ფინანსური მხარდაჭერა

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განვითარებულია რეგიონისთვის სპეციფიკური დარგები და მნიშვნელოვანი კვლევები;
- კვლევების მიმართულებით მჭიდრო კავშირი პრაქტიკისა და კვლევის ობიექტებთან.
- კვლევითი და ექსპერიმენტული კომპონენტების ინტენსიფიკაცია საგანმანათლებლო პროგრამაში;
- კვლევითი ინფრასტრუქტურის გაფართოება.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“ ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე 2012 წლიდან. ის შედგენილია დროის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი მიდგომის, რეგიონის თავისებურებათა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობისათვის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას, რომელიც წარმატებით განახორციელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას; შეძლებს ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაციას, ტრანსფორმაციას; იქნება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე ორიენტირებული, კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური მკვლევარი. ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ორიენტირებულია სწავლების მესამე საფეხურისათვის ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერით განსაზღვრული შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებაზე, რაც ასახულია პროგრამის მიზნებში: 1. ბიოლოგიური მეცნიერებების, როგორც ერთიანი მთლიანი სისტემის ცალკეული დარგის, ქვედარგისა თუ დარგთაშორისი სფეროების უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებული ცოდნის შექმნა, რაც მთლიანობაში მისი სისტემური და კრიტიკული გააზრების, ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას მისცემს კურსდამთავრებულს; ასევე, ცოდნის შექმნა განათლების სფეროში არსებული თეორიებისა და თანამედროვე მიმართულებების, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების, შეფასების თანამედროვე პრინციპებისა და კრიტერიუმების შესახებ; უახლესი თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევის მეთოდებისა და ტექნოლოგიების (მოლეკულურ-ბიოლოგიური კვლევის მეთოდებისა და ტექნიკის; სეროლოგიური, ციტოგენეტიკური და იმუნოლოგიური, მიკრობიოლოგიური კვლევის, in-vitro ტექნოლოგიების, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და ჰიდრობიოლოგიური კვლევის მეთოდების) გამოყენების შედეგად დაგროვილი ცოდნის საფუძველზე მიღებული მეცნიერული შედეგებისა და განზოგადებათა გაანალიზების, გაცნობიერებისა და საჭირო შემთხვევაში კრიტიკულად გადაფასების უნარ-ჩვევების გამომუშავება; 2. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიციური, ინოვაციური მეცნიერული კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების, ცოდნის გაფართოებაზე ორიენტირებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების შემუშავება, რაც შეიძლება აისახოს საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში; 3. კვლევის პროცესში კომპლექსური პრობლემის გადაჭრისათვის რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების სისტემური და კრიტიკული გააზრების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარის გამომუშავება; 4. შექმნილი ცოდნისა და კვლევის გამოცდილების, ახალი ექსპერიმენტის ჩატარებისა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე მაღალრეიტინგული, იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალებისათვის შესაბამისი პუბლიკაციების მომზადების უნარით აღჭურვა; 5. გამოკვლევების შედეგად მოპოვებული ახალი ინფორმაციის, კვლევის შედეგების ანალიზისა და ახალი ცოდნის მკაფიოდ და დასაბუთებულად წარმოჩენის უნარის გამომუშავება; ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში უცხოურ ენაზე ჩართვისა და თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარის ჩამოყალიბება; ღირებულებათა დამკვიდრების გზით სისტემატური კვლევის უნარით აღჭურვა, რაც მომავალ დოქტორს, როგორც მკვლევარს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებაში;

6. ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკულ-გამოყენებითი პროექტების ხელმძღვანელობის, ამოცანების მკაფიო ფორმულირებისა და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენებისა და პროფესიულ საქმიანობაში სამეცნიერო ეთიკის ძირითადი პრინციპების გამოყენების უნარით აღჭურვა.

აღნიშნული პროგრამის მიზნები ასახავს რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა, რეალისტური და მიღწევადია. თუმცა ვფიქრობთ, რომ პროგრამის მიზნები მოცულობითია, რადგან ძალიან დაკონკრეტებულია, დეტალიზებული (განსაკუთრებით უნარების განვითარების ნაწილში). ამიტომ სასურველია გადაიხედოს პროგრამის მიზნების ზემოთ მოცემული ფორმულირება, მოხდეს მისი შემცირება და უფრო მარტივად, მოკლედ და მკაფიოდ ჩამოყალიბება.

რეგიონისა და უნივერსიტეტის პრიორიტეტებისა და უნივერსიტეტის მისიის ძირითადი პრინციპებიდან, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სამეცნიერო-აკადემიური პერსონალისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით პროგრამა უზრუნველყოფს: საქართველოს შავი ზღვის სანაპირო შელფის ბიორესურსების კომპლექსურ კვლევას ექსპრეს-დაიგნოსტიკისა და მონიტორინგის განხორციელების მიზნით; სამხრეთ კოლხეთის (აჭარის) უნიკალური ბიომრავალფეროვნების (ფლორა; წყალსატევების ფაუნისტური შესწავლა) შესწავლას დაცვა-კონსერვაციისა და ადამიანის ინტერესებისათვის რაციონალური გამოყენების მიზნით; კოლხეთის ჭარბტენიანი ჰაბიტატების ლანდშაფტის ეკოლოგიის მოდელების შექმნას; ბუნებრივი და აგროეკოსისტემების ბიოლოგიურ კონტროლს (გენეტიკური მონიტორინგი) სხვადასხვა გენეტიკური ტესტ-სისტემების გამოყენებით; რეგიონის მოსახლეობის გენეტიკური თავისებურებების (კლინიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ერთროციტული ლეიკოციტური, თრომბოციტური ანტიგენების მაკოდირებელი გენები; გერონტოლოგიის საკითხები) შესწავლას; სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების ანტიბიოტიკომრმნობელობის დადგენას და ანტიბიოტიკორეზისტენტობის ჩამოყალიბების გენეტიკური საფუძვლების კვლევას; სხვადასხვა დაავადებასა და დაბერების პროცესებში იმუნური მექანიზმების ჩართულობის შესწავლას. პროგრამა უზრუნველყოფს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის გაფართოებას ბიოლოგიის სხვადასხვა დარგისა და დარგთაშორის, მათ შორის, მულტიდისციპლინური ან ინტერდისციპლინური სფეროების მიმართულებით.

ბსუ-ს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება დინამიურობის, გამჭვირვალობის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს; მოიცავს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესს; ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ან/და პროექტების შემუშავება/განვითარება/განხორციელებას, საერთაშორისო კვლევებში ჩართულობას და მხარდაჭერას, შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებას და სხვა; მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების მიდგომებთან, კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრასთან და შემოქმედებით პრაქტიკასთან დაკავშირებით ახალი ცოდნისა და მიდგომების გაზიარებას, პერსპექტივების ჩამოყალიბებას, დასახული ამოცანების შესრულების გზების მოძიებას და სხვა; ითვალისწინებს სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის ჩართულობას ინტერნაციონალიზაციის პროცესში; უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის შედეგების უნივერსიტეტის საქმიანობაში ეფექტურად გამოყენებას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, უნივერსიტეტში მოქმედ “ERASMUS+“-ის გაცვლითი პროგრამის სხვადასხვა პროექტში. გარდა ამისა, მათ გავლილი აქვთ პროფესიული განვითარების არაერთი ტრენინგი უცხოეთის უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ მიზანი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უსდ-ს მიერ განხორციელდა დამსაქმებლების გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილე, შპს „ბათუმის წყალის“ დირექტორი, გარემოს ეროვნული სააგენტოს, მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევით ცენტრის მენეჯერი, ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი და მთავარი მეცნიერთანაშრომელი, მტირალას ეროვნული პარკის დირექტორი, სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აჭარის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სხვა.

უსდ-ს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დამსაქმებლები დადებითად აფასებენ ბიოლოგიის

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის, დამოუკიდებლობის (ავტონომიურობის), პასუხისმგებლობის უნარს. კვლევისას დამსაქმებლების მიერ დასახელდა 3 მნიშვნელოვანი კომპეტენცია, რომელსაც უნდა ფლობდეს პროგრამის კურსდამთავრებული. ესენია თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარი და ანალიტიკური აზროვნება. დამსაქმებლების 100% თვლის, რომ მათი ორგანიზაციისათვის აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები პერსპექტიული კადრია.

დამსაქმებელმა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფორმად დასახელა მათი საქმიანობის შესახებ პერიოდულად პრეზენტაციების გაკეთება და გამოცდილი თანამშრომლების მიერ ჩატარებული ტრენინგებით სტუდენტებისთვის თავიანთი ცოდნის, გამოცდილებების გაზიარება, ერთობრივ ღონისძიებებში მათ: ტრენინგებისა და კონფერენციების (ადგილობრივი და საერთაშორისო) ორგანიზებაში, საერთო პროექტებში მონაწილეობა, სასწავლო პროგრამის განვითარებისთვის ხშირი შეხვედრები და აზრთა გაზიარება, სტუდენტებთან შეხვედრების და მათი საქმიანობის გაცნობა, სტაჟირებაზე სტუდენტების მიღება პროფილისა და კვლევის ობიექტის შესაბამისად.

დამსაქმებელმა გამოთქვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მხარდაჭერა ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების განხორციელებაში, კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებით.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურს-დამთავრებულები, დამსაქმებლები. შესაბამისად პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პირების მიერ.

ინფორმაცია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ მიზნების შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია, რადგან ის განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <https://bsu.edu.ge/>.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
 - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
 - საგანმანათლებლო პროგრამა
 - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/95 დადგენილება „ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გამტკიცების შესახებ“.
 - შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი
 - დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები
 - ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge.
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
 გადაიხედოს პროგრამის მიზნები, დაზუსტდეს, ჩამოყალიბდეს უფრო მარტივად, მოკლედ და მკაფიოდ, რათა გასაგები იყოს პროგრამით დაინტერესებული პირებისთვის (აბიტურიენტები, სტუდენტები, დამსაქმებელი და სხვ.).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

- 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
 - შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი ავლენს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ სწავლის სფეროს შინაარსს (0511 ბიოლოგია). პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას „ბიოლოგიის დოქტორი“.

პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტურია, მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამას თან ერთვის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის რუკა, რომელიც, პროგრამის მიზნების შემცირების შემთხვევაში (იხ. 1.1. კომპონენტი), უფრო ნათლად ასახავს მიზნებსა და შედეგებს შორის არსებულ კავშირს

პროგრამის განახლების პროცესში გამოყენებული იყო ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი და შესაბამისი პროცედურები. პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშიდან და გასაუბრების შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრა სამუშაო ჯგუფის მიერ დაინტერესებული მხარეების - პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართულობით. პროგრამაში მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნები.

პროგრამის დასრულების შემდეგ ბიოლოგიის დოქტორს ექნება ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლებიც სწავლების მესამე საფეხურისათვის ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერით არის განსაზღვრული, კერძოდ:

ცოდნა და გაცნობიერება

1. პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს ექნება ბიოლოგიური მეცნიერებების, როგორც ერთიანი მთლიანი სისტემის ცალკეული დარგის, ქვედარგისა თუ დარგთაშორისი სფეროების უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მთლიანობაში მისი სისტემური და კრიტიკული გააზრების, ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას მისცემს, ასევე, ცოდნა განათლების სფეროში არსებული თეორიებისა და თანამედროვე მიმართულებების, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების, შეფასების თანამედროვე პრინციპებისა და კრიტერიუმების შესახებ. უახლესი თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევის მეთოდებისა და ტექნოლოგიების (მოლეკულურბიოლოგიური კვლევის მეთოდებისა და ტექნიკის; სეროლოგიური, ციტოგენეტიკური და იმუნოლოგიური, მიკრობიოლოგიური კვლევის, in-vitro ტექნოლოგიების, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და ჰიდრობიოლოგიური კვლევის მეთოდები) გამოყენების შედეგად დაგროვილი ცოდნის საფუძველზე შეძლებს მეცნიერული შედეგებისა და განზოგადებების გაანალიზებას, გაცნობიერებას და საჭირო შემთხვევაში კრიტიკულად გადაფასებას.

უნარი

2. შეძლებს, მიღებული მეცნიერული ცოდნის საფუძველზე დაგეგმოს კვალიფიციური ინოვაციური მეცნიერული კვლევა, ადაპტირება გაუკეთოს ან შეიმუშაოს ცოდნის გაფართოებაზე ორიენტირებული ახალი კვლევითი თუ ანალიტიკური მეთოდები და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით აწარმოოს აქტიური კვლევა ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით, რაც შეიძლება აისახოს საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. კერძოდ, შეძლებს ექსპრეს-დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის განხორციელების მიზნით საქართველოს შავი ზღვის სანაპირო შელფის ბიორესურსების კომპლექსურ კვლევას, მათი როლისა და ადგილის განსაზღვრას ეკოსისტემებში; შავი ზღვის დელტინების ბიოეკოლოგიური, კონსერვაციული და სამენეჯმენტო ღონისძიებების განხორციელებას; შეძლებს ზუსტ მონაცემთა ბაზის შექმნას კოლხეთის დაბლობის ქროზად რელიქტებსა და ინვაზიენტებზე, მაღალკონსერვაციული ტყის კორომებზე; შეძლებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სქემის ჩამოაყალიბებას, ჰაბიტატების აღდგენითი პროექტების განხორციელებას; ველური ბუნების კონსერვაციისა და გონივრული გამოყენების მენეჯმენტის გეგმის შემუშავებას; რეკომენდაციების მომზადებას ეკოტურიზმის განვითარებისათვის; ადგილობრივი ხეხილოვანი კულტურების გენეტიკური რესურსების შესწავლის საფუძველზე სასარგებლო სომატური მუტაციების იდენტიფიკაციას, ელიტური სარგავი მასალის მიღებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავების მიზნით; შეძლებს in vitro კულტივირების ტექნოლოგიის გამოყენებით მცენარეთა კლონურ მიკროგამრავლებას, ვირუსული ინფექციებისა და სხვა პათოგენებისაგან მცენარის გაჯანსაღების ღონისძიებებში მონაწილეობას; შეძლებს დამოუკიდებლად

აწარმოოს კვალიფიციური მეცნიერული კვლევები ადამიანის პოპულაციური გენეტიკის, ტრანსფუზიური და ტრანსპლანტაციური იმუნოლოგიის, კრიმინალური ექსპერტიზის, გენეტიკური კონსულტირების, იმუნოდიაგნოსტიკისა და მიკრობიოლოგიური მიმართულებით; ღრმა ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე შეძლებს აქტიურად ითანამშრომლოს ჯანდაცვის დაწესებულებებთან; აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჯანსაღი დონორების გამოვლენის, გენეტიკური შეუთავსებლობის პროფილაქტიკის, სხვადასხვა ინფექციურ თუ არაინფექციურ პათოლოგიასთან სისხლის ანტიგენური თავისებურებების ასოცირებისა თუ სხვა თეორიული პრობლემების კვლევაში და პრაქტიკული პროგრამების შემუშავებაში; შეძლებს, წარმოადგინოს ახალი მეცნიერული მოსაზრებები, წინადადებები და რეკომენდაციები; ექნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების, შეფასების თანამედროვე პრინციპებისა და კრიტერიუმების პრაქტიკულად განხორციელების უნარ-ჩვევები;

3. ექნება კვლევის პროცესში კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი რთული, წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფუძველზე;

4. შეძენილი ცოდნა და მეცნიერული გამოცდილება დოქტორს შესაძლებლობას მისცემს, იმუშაოს რეფერირებადი პუბლიკაციების დონეზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეძლებს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი პუბლიკაციების მომზადებას მაღალრეიტინგული, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებისათვის;

5. გამოკვლევების - ექსპერიმენტული თუ დაკვირვების შედეგად მოპოვებული ახალი ინფორმაციის, მონაცემთა ანალიზისა და ახალი ცოდნის წარმოჩენისა და გადაცემის უნარი დოქტორს შესაძლებლობას მისცემს, მკაფიოდ და დასაბუთებულად წარმოაჩინოს კვლევის შედეგები სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან და შეძლებს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

6. ექნება ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, ინოვაციური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებისა და შემუშავების, სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი პროექტების ხელმძღვანელობის, ამოცანების მკაფიო ფორმულირებისა და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენების უნარი პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; შეძლებს პროფესიულ საქმიანობაში გამოიყენოს სამეცნიერო ეთიკის ძირითადი პრინციპები.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ სწავლის შედეგები არ არის დაწერილი აწმყო დროში აქტიური ზმნების (ბლუმის ტაქსონომია) გამოყენებით. პროგრამა გადის 6 შედეგზე, თუმცა თუ კარგად დავაკვირდებით მათ ფორმულირებას რამდენიმე მათგანი მოიცავს 2 ან მეტ შედეგს. მაგ: პირველი, მეორე, მესამე და მეექვსე შედეგი. გარდა ამისა, ძალიან მოცულობითი და ზედმეტად დაკონკრეტებულია შედეგები ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში (შედეგი 1) და უნარებში (შედეგი 2), რისი მიზეზი არის პროგრამის მიზნები სრულად განმეორებული აღნიშნულ შედეგებში. უნარების ნაწილში მე-3 და მე-5 შედეგი მეტწილად იმეორებს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოში კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს, ხოლო მე-4 შედეგი საჭიროებს დახვეწას. ასევე ვფიქრობთ პროგრამის მე-6 სწავლის შედეგი მე-8 დონის აღმწერის მიხედვით, უფრო მეტად უნარია, ვიდრე პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია 1) გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და მოხდეს მათი ჩამოყალიბება აქტიური ზმნების (ბლუმის ტაქსონომია) გამოყენებით სამივე კომპეტენციის მიხედვით; 2) შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები (განსაკუთრებით პირველი და მეორე) და ჩამოყალიბდეს მოკლედ, მარტივად და მკაფიოდ; 3) დაიხვეწოს პროგრამის მე-4 შედეგი; 4) გადაიხედოს მე-6 სწავლის შედეგის შესაბამისობა კომპეტენციის - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა აღმწერთან; 5) პროგრამის სწავლის მე-3 და მე-5 შედეგი არ იმეორებდეს მე-8 დონის აღმწერს.

ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული (ბიოლოგიის დოქტორი) მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად შეძლებს დასაქმებას უნივერსიტეტებსა თუ სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ბიოლოგიის ნებისმიერი მიმართულების თეორიული და პრაქტიკული კურსების წასაყვანად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ სასწავლებლებსა და კოლეჯებში პედაგოგად, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო კვლევით ცენტრებში, სამედიცინო და ვეტერინარული დაწესებულებების ლაბორატორიებში; კრიმინალისტიკურ ლაბორატორიებში გენეტიკური ექსპერტიზის, გარემოს დაცვის, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებში, დაცული ტერიტორიების, მცენარეთა და ცხოველთა დაცვისა და მენეჯმენტის ორგანიზაციებსა და დაწე-

სებულებებში, ინტერნაციონალურ და ეროვნულ პარკებში, ნაკრძალებში, ადკვეთილებში, ბოტანიკურ ბაღებში, დენდროლოგიურ პარკებში, დელფინარიუმში, აკვარიუმში, სარეაბილიტაციო ოკეანერიუმებსა და ზოოლოგიურ პარკებში, ზღვის ძუძუმწოვართა კვლევის, ეკოლოგიური მონიტორინგისა და ექსპერტიზის, თანამედროვე სტატუსის შეფასებისა და სამომავლო მდგომარეობის პროგნოზირების, კონსერვაციისა და რეაბილიტაციის ცენტრებში, ასევე, მსოფლიო ოკეანის, ხმელთაშუა და შავი ზღვების ველური ბუნების გარეული ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის კონვენციისა და ACCOBAMS-ის ვეშაპისებრთა შენარჩუნების საერთაშორისო შეთანხმების ცენტრებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში; კვების პროდუქტების ხარისხის კონტროლის, ეკოლოგიურად სუფთა (მათ შორის გენმოდირებული) პროდუქტების სალიცენზიო სამსახურებსა და კომისიებში; სამკურნალო პროფილაქტიკურ, სანიტარულ, ეპიდემიოლოგიურ და დაავადებათა კონტროლის სამსახურებში, მიკრობიოლოგიური ექსპერტიზის სამსახურში, ბუნებრივი რესურსების მართვისა და ეკოლოგიური ზედამხვედველობის სამსახურებში. თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელია 100%-იანია.

უსდ-ს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა სამიზნე ნიშნულებთან ერთად. ხდება სწავლის შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან მისი დადარება. სწავლების შედეგების შესაფასებლად შექმნილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ როგორია პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასება წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულების მიხედვით. მაგ: შედეგი დაკავშირებული უმაღლესი სკოლის პედაგოგისათვის აუცილებელი უნარების განვითარებასთან მიღწეულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი სწავლების თანამედროვე მეთოდებში და პროფესორის ასისტენტობაში – შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე მიიღებს დადებითი შეფასების არანაკლებ 70%-ს; ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი მიღწეულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი ექსპერიმენტული კვლევის მეთოდებსა და ტექნოლოგიებში შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე მიიღებს დადებით შეფასების - არანაკლებ 70%-ს; უცხოელი ექსპერტის შეფასება სადოქტორო დისერტაციის ანოტაციაზე - შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, თუ შეფასება იქნება არანაკლებ 15 ქულისა 20-დან და ა.შ. სწავლის შედეგების შეფასება სამიზნე ნიშნულების გამოყენებით მოხდება ყოველი სემესტრის ბოლოს ბსუ-ში მოქმედი ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით - portal.bsu.edu.ge.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუკა, რომელშიც განსაზღვრულია სასწავლო კურსების დონეები (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება) შედეგებთან მიმართებაში.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი მეთოდით ხდება სტუდენტის აკადემიური შეფასება სხვადასხვა დავალების მიხედვით მაგ: პროექტი, რეფერატი, პრეზენტაცია, წერილობითი დავალება, სიტუაციური ამოცანა, ტესტები, ქვიზი, დისკუსია, დებატები, სემინარი, პროფესორის ასისტენტობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდები, სადისერტაციო ნაშრომი და სხვა. პროგრამის შემადგენელ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ყოველ სემესტრში შუალედურ გამოცდაზე და სემესტრის ბოლოს. აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგების დადარებით სამიზნე ნიშნულებთან განისაზღვრება პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის მაჩვენებელი.

რაც შეეხება შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს გამოიყენება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამით კმაყოფილების შესახებ; დამსაქმებლების გამოკითხვები, დამსაქმებლების მიერ კურსდამთავრებულებითა და სტუდენტებით კმაყოფილების დონის შეფასება; სტუდენტთა გამოკითხვები; დასაქმების მაჩვენებლები, პროგრამის დამთავრების ან/და სტატუსის შეჩერების/ შეწყვეტის მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლის და სხვა მიღწევების მაჩვენებლები და სხვა.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. <https://portal.bsu.edu.ge>-ზე ხდება გამოკითხვა სპეციალური კითხვარების მეშვეობით, რაც დაადასტურა ვიზიტის ფარგლებში უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

სწავლის შედეგების შეფასების ობიექტური, თანასწორი, გამჭვირვალე და სამართლიანი მიდგომების უზრუნველსაყოფად, ბსუ-ში მოქმედი გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის შესაბამისად, გამოცდა

ტარდება კომისიური წესით. შემფასებელი იყენებს შეფასების თანამედროვე მეთოდებს. გარდა აღნიშნულისა, სპეციალურად გამოყოფილი პირი ახდენს დასკვნითი გამოცდების ნაშრომების დაშიფრვას. დაშიფრული ნაშრომები შესაფასებლად გადაეცემა პროფესორს/მასწავლებელს. შემფასებელი ვალდებულია, დაასაბუთოს შეფასება, უკუკავშირის მიზნით შეფასებულ ნაშრომზე გააკეთოს წერილობითი, განმავითარებელი კომენტარები, აღწეროს ნაშრომის ხარვეზი და განმარტოს, რა ხარვეზის გამო დააკლდა სტუდენტს ქულა. შეფასებული ნაშრომი მიეწოდება სტუდენტს გასაცნობად. ამგვარი მიდგომა სტუდენტს აძლევს საშუალებას, მიიღოს უკუკავშირი, განსაზღვროს, რამდენად აღწევს სწავლის შედეგებს, გაიაზროს დაშვებული შეცდომები და დაგეგმოს აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები. ყოველივე აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სტუდენტის გზამკვლევაში, სადაც გამოცდებთან დაკავშირებული ყოველგვარი პროცედურა არის აღწერილი [<https://portal.bsu.edu.ge>; www.bsu.edu.ge] და ის ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისათვის. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ყოველ სემესტრში შუალედურ გამოცდაზე და სემესტრის ბოლოს.

პროგრამის შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტების უკუკავშირის ანალიზი, რაც ავლენს პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს და პროგრამის დინამიკური განვითარების პლატფორმას ქმნის. პროგრამის განხორციელების პროცესში სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტიან განხორციელებას, მონიტორინგს და განვითარების ხელშეწყობას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი მექანიზმები: საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და რეკომენდაციების გაწევა; მეცადინეობებზე დასწრება; გამოცდებისა და მიმდინარე შეფასების ანალიზი; დოქტორანტთა გამოკითხვა. დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით კურიკულუმის კომიტეტი ახდენს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას, რის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. სწავლის შედეგების შეფასება, პროგრამის უწყვეტი მონიტორინგი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივ განვითარებას და გაუმჯობესებას.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა
 - კურიკულუმის რუკა
 - ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი
 - დოქტორანტურის დებულება
 - შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
 - გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №23; 20.02.2018
 - სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა
 - აკადემიური მოსწრების ანალიზი
 - სწავლის შედეგების შეფასების გეგმა სამიზნე ნიშნულების მიხედვით
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
 გადაიხედოს პროგრამის ის სწავლის შედეგები, რომლებიც აერთიანებს რამდენიმე შედეგს, დაზუსტდეს, ჩამოყალიბდეს ლაკონურად და აქტიური ზმნის გამოყენებით აწმყო დროში, რომ პროგრამის სწავლის შედეგები გასაგები იყოს დაინტერესებული პირებისთვის (აბიტურიენტი, სტუდენტი, დამსაქმებელი და სხვ.). დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით კორექტირდეს კურიკულუმის რუკა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და მოხდეს მათი ჩამოყალიბება აქტიური ზმნების (ბლუმის ტაქსონომია) გამოყენებით სამივე კომპეტენციის მიხედვით;
 - სასურველია შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები (განსაკუთრებით პირველი და მეორე) და ჩამოყალიბდეს მოკლედ, მარტივად და მკაფიოდ;
 - სასურველია დაიხვეწოს პროგრამის მე-4 შედეგი, გადაიხედოს მე-6 სწავლის შედეგის შესაბამისობა

კომპეტენციის - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა აღმწერთან; <ul style="list-style-type: none"> სასურველია პროგრამის სწავლის მე-3 და მე-5 შედეგი არ იმეორებდეს მე-8 დონის აღმწერს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებისა და „ბსუ-სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.</p> <p>დოქტორანტობის კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის მოეთხოვება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა; • ინგლისური ენის ცოდნა (არანაკლებ B2 დონეზე); • დარგობრივი გასაუბრება დარგობრივ საგამოცდო კომისიასთან. დოქტორანტურაში მისაღები გასაუბრების საკითხები ქვეყნდება ბსუ-ს ვებ-გვერდზე. <p>სადოქტორო პროგრამაზე მიღებას ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე აცხადებს ფაკულტეტი შემოდგომის სემესტრისთვის. დოქტორანტურაში მისაღები კონკურსის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ბსუ-ს ვებ-გვერდზე. პროგრამაზე დაშვების პირობები, რომელიც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებ-გვერდზე.</p> <p>დოქტორანტი ყოველწლიურად გადის აკადემიურ რეგისტრაციას, დებს სასწავლო ხელშეკრულებას, რომლის დროსაც აფიქსირებს სასწავლო კომპონენტების რეგისტრაციის ფაქტს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.1.1) • კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“ დანართი 2.1.6. • ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება (დანართი 2.1.2) • ბსუ-ს პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის წესი (დანართი 2.1.5) • თვითშეფასების დოკუმენტი

<ul style="list-style-type: none"> • ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge • ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის სამსახურთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უცხო ენის მისაღები გამოცდა ჩატარდეს ექსკლუზიურად ინგლისურში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, იგი საჯარო და ხელმისაწვდომია. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ბიოლოგიის დეპარტამენტი. პროგრამის შემუშავებასა და განხორციელების პროცესში ჩართულნი იყვნენ: პროგრამის ხელმძღვანელები, ბიოლოგიისა და სხვა დარგობრივი დეპარტამენტები, პედაგოგები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია 2012 წელს მიიღო. აკრედიტებული პროგრამის განხორციელების პერიოდში დაიხვეწა პროგრამის სასწავლო კომპონენტების სილაბუსები, შეიცვალა შეფასების კრიტერიუმები, კვლევისა და სწავლა/სწავლების მეთოდები.</p> <p>პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით და ბსუ-ში შემუშავებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.</p> <p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ორი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება: სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებისაგან. პროგრამის 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტებისთვისაა განკუთვნილი. სასწავლო კომპონენტში 35 კრედიტი გათვალისწინებულია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებისთვის, მათ შორის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსი საკვლევი თემის შინაარსის შესაბამისად, თავისუფალი სავალდებულო კურსი (5 კრედიტი) და თავისუფალი არჩევითი კომპონენტები 20 კრედიტის ფარგლებში. პროგრამაზე შემოსულმა ყველა დოქტორანტმა პროგრამის ფარგლებში უნდა გაიაროს სასწავლო კურსი - ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით. სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებულია დოქტორანტის ორი კოლოკვიუმი, რომლებიც წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ნაწილს.</p> <p>სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სავალდებულო კურსებია - სწავლების თანამედროვე მეთოდები და პროფესორის ასისტენტობა. არჩევითი კურსების სახით დოქტორანტს შეუძლია გაიაროს საველე ან სასწავლო პრაქტიკა, გის-სისტემები, კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები, სოციალური ფსიქოლოგია, აკადემიური წერა და სხვა. თავისუფალი არჩევითი კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტს, შეუძლია დამატებით აირჩიოს კონკრეტული კვლევის მეთოდების კურსი საკვლევი ობიექტის შესაბამისად.</p> <p>სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტი ვალდებულია მოამზადოს ორი სადოქტორო სემინარი: დარგში და ქვედარგში. დოქტორანტი წარმოადგენს მოხსენებას მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, რომელიც არ უნდა იყოს დოქტორანტურის შემადგენელი ნაწილი.</p> <p>სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის შესრულების შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე შესაბამის დეპარტამენტში ხდება ნაშრომის აპრობაცია. ყოველი პროცედურა ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების შესაბამისად რეგულირდება.</p>

<p>ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიოლოგიის დოქტორის ხარისხი - სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით და უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისათვის კვალიფიკაციათა აღმწერით არის განსაზღვრული.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.2.1) • პროგრამის სილაბუსები (დანართი 2.2.4) • კურიკულუმის რუკა (დანართი 2.2.9) • საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ 2019 წლის 10 აპრილი, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ, იხ. ბმული - https://eqe.ge/res/docs/matsne-4480034-0.pdf (დანართი 2.2.2) • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი 2.2.4) • ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკა (დანართი 2.2.5) • ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge (დანართი 2.1.10) • ინტერვიუები ხარისხის სამსახურთან და აკადემიურ პერსონალთან
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • შესთავაზონ დარგობრივი ინგლისური ენის არჩევითი კურსი
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამაში გალიერებულია იმ სასწავლო კურსების სწავლება, რომელიც რეგიონში დასაქმებას შეუწყობს ხელს. ეს სასწავლო კურსები ასეთი დოზით სხვა უნივერსიტეტების ბიოლოგიის პროგრამებზე არ არის წარმოდგენილი და უდაოდ წინამდებარე პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს კვლევით და სასწავლო კომპონენტებს, რომელშიც გამოიყოფა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები, მათ შორის 1. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსი საკვლევი თემის შინაარსის შესაბამისად, 2. თავისუფალი სავალდებულო კურსი და 3. თავისუფალი არჩევითი კომპონენტები.</p> <p>ძირითადი სწავლის სფეროს შემადგენელი ნაწილია სასწავლო კურსი - ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები, რომელიც მოიცავს ზოგად კვლევის მეთოდებსა და ტექნოლოგიებს ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით. სავალდებულო კურსი - პროფესორის ასისტენტობა და თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსი სწავლების თანამედროვე მეთოდები ემსახურება დოქტორანტის აღჭურვას საუნივერსიტეტო პედაგოგისთვის აუცილებელი კომპეტენციებით; არჩევითი კურსების სახით დოქტორის ხარისხის მაძიებელმა შეიძლება გაიაროს სავალდებულო ან სასწავლო პრაქტიკა, კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები, გის-პროგრამები, სოციალური ფსიქოლოგია, აკადემიური წერა და სხვა, რომლებიც ემსახურება სადოქტორო თემის სრულყოფას. თავისუფალი არჩევითი კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტს, ასევე, შესაძლებლობა აქვს, დამატებით აირჩიოს კონკრეტული კვლევის მეთოდების კურსი საკვლევი ობიექტის შესაბამისად.</p> <p>კურსი პროფესორის ასისტენტი მოიცავს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის: ჯგუფში მუშაობის, ლაბორატორიული სამუშაოს, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების მომზადებას, ჩატარებას; სტუდენტების ნაშრომების გასწორებას,</p>

საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებას; ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადებას სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობას, ზედამხედველობას და სხვა.

რაც შეეხება სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტი მის დარგსა და ქვედარგში სადოქტორო **სემინარების** მომზადებას, ისინი დარგისა და ქვედარგის აქტუალურ საკითხებს ეძღვნება და არ არის დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების შესრულების შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამის ფინალური ეტაპი არის სადისერტაციო ნაშრომის დაცვა. დაცვამდე შესაბამის დეპარტამენტში ტარდება ნაშრომის აპრობაცია.

საველე პრაქტიკის პერიოდში შეიძლება გამოყენებული იქნეს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. სტუდენტები სწავლობენ ველზე მასალის შეგროვებას, კამერულ დამუშავებას, ჰერბარიუმის დამზადებას, ასევე, ამზადებენ პრეპარატებს და განიხილავენ მიკროსკოპში, აკეთებენ ჩანახატებს, სპეციალური სარკვევი სახელმძღვანელოებით ახდენენ მცენარეთა რკვევას.

დოქტორანტი მონაწილეობს ეროვნული თუ სართაშორისო კონფერენციების მუშაობაში და აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს.

ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაცია - „ბიოლოგიის დოქტორის ხარისხი“ - სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, კვლევისა და სწავლის შედეგებს, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით და უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისათვის კვალიფიკაციათა აღმწერით არის განსაზღვრული.

ხარისხის სამსახურის და აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო დოკუმენტების შედგენაში უადრესად დიდი შრომა არის ჩადებული და მკაფიოდ იგრძნობა მათი პროფესიონალიზმი. თუმცა გაპარულია გარკვეული ტიპის ხარვეზები, რაც კორექციას საჭიროებს.

ცალკეულ სასწავლო კურსებთან მიმართებით გვაქვს გარკვეული ტიპის შენიშვნები.

- 1. ზოგიერთ საგანში აღინიშნება თემატიკების გადაფარვა საბაკალავრო საფეხურზე წარმოდგენილ საგნებთან,** კერძოდ უჯრედული ბიოტექნოლოგიაში (პირველი ოთხი თემა გადაფარვაშია ბაკალავრიატის საფეხურზე არსებულ ბიოტექნოლოგიის კურსის და სამაგისტრო საფეხურზე შეთავაზებული უჯრედული ბიოტექნოლოგიის თემებთან), ასევე ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიებში (V და VI თემები იგივეა, რაც ისწავლება ბიოტექნოლოგიაში და უჯრედის ბიოტექნოლოგიაში ციტოგენეტიკის საფუძვლებით), in vitro ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიებში (იგივე თემები მოიპოვება, რაც უჯრედული ბიოტექნოლოგიის კურსშია).
- 2. ზოგიერთ საგანში მოცემული სასწავლო ძირითადი ლიტერატურა მეორდება ამავე საფეხურის ან ბაკალავრიატის საფეხურზე არსებული ზოგიერთ საგანში,** კერძოდ მოლეკულურ გენეტიკაში (რ.ხუბუნაშვილი, მოლეკულური ბიოლოგია, 2015; იგივეა რაც ბაკალავრიატის საფეხურზე არსებულ მოლეკულური ბიოლოგიის სასწავლო კურსში და სამაგისტრო საფეხურზე არსებულ გენის მოლეკულურ ბიოლოგიაში), უჯრედული ბიოტექნოლოგიაში (ქობალაია, მცენარეთა ბიოტექნოლოგია, 2008; კვესიტაძე, ბიოტექნოლოგია 1999; ბაკურაძე, თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საფუძვლები, 2009; ლიტერატურა იგივეა რაც გენეტიკური ინჟინერიის, ასევე ბაკალავრიატის საფეხურზე არსებულ ბიოტექნოლოგიის და სამაგისტრო საფეხურზე არსებულ უჯრედული ბიოტექნოლოგიის სასწავლო კურსებში), in vitro ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიებში (იგივე ლიტერატურაა მითითებული რაც საბაკალავრო საფეხურის ბიოტექნოლოგიის, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე არსებულ უჯრედული ბიოტექნოლოგიის კურსებში), ჯანმრთელობა, გენეტიკური ტვირთი და მემკვიდრული დაავადებები (ლიტერატურა მეორდება, რაც მითითებული ოყო საბაკალავრო საფეხურის ზოგად გენეტიკის კურსში).
- 3. სასწავლო კურსში „ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები“** შეუძლიათ შეიტანონ ისეთი მნიშვნელოვანი მეთოდები, როგორცაა იმუნოფლუორესცენციის რეაქცია, რადიოიმუნური ანალიზი, იმუნობლოტინგი, იმუნოციტოქიმიური და იმუნოჰისტოქიმიური ანალიზი, იმუნოპრეციპიტაცია გელებში, პასიური ჰემაგლუტინაციის რეაქცია.

აღნიშნული შენიშვნები თუ რჩევები ეხება მხოლოდ რამოდენიმე საგანს, მათი შესრულება იოლია და სასურველია კურიკულუმის შემდგომი გაუმჯობესებისკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.3.1)
- სილაბუსები (2.3.2)

<ul style="list-style-type: none"> • კურიკულუმის რუკა (დანართი 2.3.5) • დოქტორანტურის დებულება (დანართი 2.3.3) • თვითშეფასების დოკუმენტი • ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგიურ პერსონალთან • საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ 2019 წლის 10 აპრილი, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ, იხ. ბმულზე - https://eqe.ge/res/docs/matsne-4480034-0.pdf (დანართი 2.3.4)
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გადახედო იქნას სილაბუსების თემატიკები და აღმოიფხვრას თემების, ძირითადი სასწავლო ლიტერატურის დუბლირება ამავე და სხვა საფეხურის სასწავლო კურსებთან • გადახედო იქნას სილაბუსების თემატიკები და შესაბამისი რელევანტური ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები იქნას მითითებული • გადახედო იქნას სასწავლო კურსების თემატიკები და საჭიროების შესაბამისად გაუკეთდეს კორექცია (ჩაემატოს ან ამოღებულ იქნას).
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>შემდეგი საგნების სწავლება: 1. პროფესორის ასისტენტი, 2. სემინარი დარგში და ქვედარგში, 3. ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები, 4. მიკრობიოლოგიური კვლევის მეთოდები - ამ საგნების შინაარსი და მათ სილაბუსებში გათვალისწინებული აქტივობა ძლიერ სასარგებლო იქნება დოქტორანტის სამეცნიერო-პედაგოგიური განვითარებისთვის.</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის კომპონენტები დოქტორანტს ბიოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებების შესახებ თანამედროვე თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს პრაქტიკულ, კვლევით და ტრანსფერულ უნარებს. სტუდენტი თეორიული ცოდნის საფუძველზე ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას. ასე მაგ., ლაბორატორიულ მეცადინეობაზე მიკროსკოპთან მუშაობისას ძირითადად გამოიყენება დემონსტრირების, დაკვირვება/აღწერის, შედარების მეთოდი. ექსპერიმენტული კვლევის მეთოდებსა და ტექნოლოგიებში დოქტორანტი ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში ეუფლება უახლესი კვლევის მეთოდებსა, მიდგომებს და ტექნოლოგიებს.</p> <p>დოქტორანტებს პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას სთავაზობს დასაქმების სფეროს შესაბამისი ორგანიზაციებიც, რომლებთანაც გაფორმებულია მემორანდუმები, მაგალითად, ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მტირალას დაცული ტერიტორია, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი და სხვა, რომლებიც პერიოდულად ახორციელებენ სტაჟირების პროგრამებს. დოქტორანტის პრაქტიკას ძირითადად ზედამხედველობს მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი ან შესაბამისი სასწავლო კურსის კვალიფიციური წამყვანი სპეციალისტი.</p> <p>უნივერსიტეტში აქტიურად მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი. სტუდენტები ყოველწლიურად მონაწილეობენ საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო და რეგიონულ სამეცნიერო კონფერენციებში. აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ხელმძღვანელობენ ბაკალავრიატის სტუდენტთა მიერ სამეცნიერო კონფერენციაზე წარსადგენი ნაშრომების მომზადებას.</p> <p>ბსუ-ში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების საფუძველზე შემუშავებული იქნა სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი, რომელიც განსაზღვრავს</p>

დაფინანსების მოპოვების მიზნით საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული თემატიკის პროექტის წარდგენისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს. დოქტორანტი ჩართულნი არიან საგრანტო პოექტებშიც. უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ ბათუმის შ.რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, რაც რეგულირდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულებით. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას ემსახურება უნივერსიტეტის საზაფხულო/ზამთრის სკოლის ჩატარების ხელშეწყობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, რისთვისაც ცხადდება შიდა კონკურსი, რომლითაც განისაზღვრება კონკურსის ჩატარების ვადები, შესაბამისი მიმართულება, დაფინანსების ზღვრული ოდენობა, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა საჭირო ინფორმაცია. სკოლის მუშაობაში მონაწილეობენ დოქტორანტებიც. ბსუ-ს სტუდენტებთან ერთად შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ან უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმაც. დოქტორანტები მონაწილეობენ გაცვლით და სტაჟირების პროგრამებში.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იძებნება დოკუმენტი, სადაც მოცემული იქნება, როგორ სრულდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურები მიკრობიოლოგიურ კვლევების დროს. ვინაიდან მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში დოქტორანტებს შეიძლება შეხება ქონდეთ პოტენციურ პათოგენებთან (პირობით-პათოგენურ ბაქტერიებთან, რომლებშიც ხშირია ანტიბიოტიკორეზისტენტობა), შესაძლო საფრთხეების თავიდან არიდების მიზნით აუცილებელია დაწესებულებას გაწერილი ქონდეს SOP ინსტრუქციები და აღწერილი ქონდეს ნარჩენების გაუვნებლობის პროცედურები და წესები. ვინაიდან სადოქტორო სწავლების საფეხური ითვალისწინებს სამეცნიერო ექსპერიმენტული კვლევების შესრულებას, სასურველია, რომ უნივერსიტეტში შეიქმნას ბიოეთიკის საუნივერსიტეტი კომიტეტი/ საბჭო, რომლებიც გაეცნობიან წარმოდგენილ საპროექტი კვლევით წინადადებებს, პროექტით გაწერილ სამუშაოს ეთიკურ შეფასებას გააკეთებენ და კვლევაზე ნებართვას გასცემენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.4.1)
- სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 2.4.2)
- კურიკულუმის რუკა
- თანამშრომლობის ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან
- დოქტორანტები პრაქტიკაზე (დანართი 2.4.3)
- ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები (დანართი 2.4.4)
- <https://bsu.edu.ge/sub-19/page/2-168/index.html> -
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ <https://bsu.edu.ge> (დანართი 2.4.5)
- სამეცნიერო კვლევების სამსახური <https://www.bsu.edu.ge/main/page/9478/index.html>
- დოქტორანტების ხელმძღვანელობით შესრულებული საკონფერენციო ნაშრომები (დანართი 2.4.9)
- დოქტორანტთა მონაწილეობა ბსუ-ს მიზნობრივ საგრანტო პროექტებში (დანართი 2.4.20)
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N113 დადგენილება ბსუ-ში „საზაფხულო/ზამთრის სკოლის“ ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ (დანართი 2.4.21)
- https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9317_1.pdf.
- საზაფხულო სკოლის პროგრამები (დანართი 2.4.22)
- ერთობლივი სტატიები და კონფერენციებში მონაწილეობა (დანართი 2.4.23)
- დოქტორანტთა მონაწილეობა გაცვლით და სტაჟირების პროგრამებში (დანართი 2.4.24)
- ვებ-გვერდი და ელექტრონული პორტალი (დანართი 2.4.25)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა
- უნივერსიტეტში შეიქმნას ბიოეთიკის საუნივერსიტეტი კომიტეტი/საბჭო ან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდეს სხვა დაწესებულების ბიოეთიკის საბჭოსთან

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებისათვის, კომპლექსური პრობლემების ნათლად წარმოსახვისათვის გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი: ლექციის, ლაბორატორიული მეცადინეობის, პრაქტიკული, სავლე პრაქტიკის და სხვა მეთოდები. სწავლება განხორციელდება სხვადასხვა აქტივობით: ვერბალურით, დემონსტრირებით, ახსნა-განმარტებით, დაკვირვება/ აღწერით, შედარებით, ანალიზით/სინთეზით, დისკუსია/დებატებით, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით; შემთხვევის ანალიზით, თანამშრომლობით სწავლებით, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებით, ელექტრონული სწავლებით და სხვა.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, რომელიც გამოიყენება ლაბორატორიულ მეცადინეობაზე ლაბორატორიაში არსებული ხელსაწყო-მოწყობილობების გამოყენებით, დოქტორანტს უვითარებს კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების უნარს. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება ემსახურება სწავლის უნარის განვითარებას - შეძლოს საგანმანათლებლო სფეროში საკუთარი და სხვების სწავლის შედეგების შეფასება, ანალიზი და გაუმჯობესება, საკუთარი და სხვების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება. დისკუსია/დებატი, სიტუაციის ანალიზი ხელს უწყობს კვლევის ეთიკური ნორმების ჩამოყალიბებას. მინი პროექტის მომზადებით სტუდენტს გამოუმუშავდება სამეცნიერო საგრანტო პროექტის შემუშავების, ხოლო პრეზენტაციით - კონკრეტულ თემაზე კოლეგებთან ახალი ცოდნის გაზიარების, დისკუსიის წარმართვისა და კომუნიკაციის უნარი.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 2.5.4)
 - საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.5.1)
 - თვითშეფასების ანგარიში და სასწავლო კურსების სილაბუსები
 - სწავლება-სწავლის მეთოდები (დანართი 2.5.3)
 - ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის სამსახურთან, სტუდენტებთან
 - სამუშაო ჯგ ოქმი №7 სწავლება/სწავლის მეთოდების განსაზღვრის შესახებ (დანართი 2.5.2)
 - შეხვედრა დოქტორანტებთან და აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ოქტორანტი პროგრამის ცალკეულ კომპონენტში ფასდება სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ბსუ-ში მიღებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სტუდენტის ცოდნის შეფასება მრავალკომპონენტია და მოიცავს, როგორც მიმდინარე, ასევე, შემაჯამებელი შეფასებას.

1. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა მინიმუმ 40 და მაქსიმუმ 60 ქულა;
2. შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს:
 - ✓ შუალედურ გამოცდას - 20 ქულა;
 - ✓ მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა;
 - დასკვნითი შეფასების ფორმები: დასკვნითი გამოცდა; სხვა სახის შეფასება;
 - შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 35%.
 - დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50%.

შეფასების სამართლიანი, თანასწორი და გამჭვირვალე მიდგომების უზრუნველსაყოფად, ბსუ-ში გამოცდები ტარდება კომისიური წესით. ხდება დასკვნითი გამოცდების ნაშრომების დაშიფვრა. დაშიფრული ნაშრომები შესაფასებლად გადაეცემა საგნის პედაგოგს. გამსწორებელი ვალდებულება, უკუკავშირის მიზნით, შეფასებულ ნაშრომზე გააკეთოს წერილობითი, განმავითარებელი კომენტარები და განმარტოს, რა ხარვეზის გამო დააკლდა სტუდენტს ქულა. მიღებულ შეფასებაზე პრეტენზიის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს აპელაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია გამოცდების ჩატარების ინსტრუქციაში.

დოქტორანტის მიმდინარე შეფასება - 60 ქულა - მიღება შესაძლებელია სხვადასხვა აქტივობის შეფასებით, როგორცაა: შუალედური გამოცდა, აკადემიური აქტივობა, სემინარი, პროფესორის ასისტენტობა, რეფერატი, მინი-პროექტები და სხვა. შეფასება მრავალკომპონენტია. თითოეული მათგანის რაოდენობა და ხვედრითი წილი განისაზღვრება ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამით.

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერითი ან ზეპირი ფორმით. საგამოცდო ბილეთი შეიძლება მოიცავდეს ღია ტესტს, დახურულ ტესტს, თეორიულ საკითხებს ან პრაქტიკულ ამოცანებს.

საბოლოო შეფასება - 100 ქულა. ცალკეულ სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, შუალედური შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით.

დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე, რომელშიც აღწერილია სასწავლო მასალის მომზადება, ჯგუფში მუშაობის სასწავლო პროცესის ორგანიზება, საგამოცდო მასალის მომზადება და საგამოცდო პროცესის ორგანიზება. შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის გაფორმება ხდება სპეციალური ფორმის შესაბამისად. პროფესორის ასისტენტობისთვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია.

სემინარის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით (60 ქულით ფასდება შინაარსობრივი მხარე და 40 ქულით კი პრეზენტაცია). სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს აფასებს სამეცნიერო ხელმძღვანელი შემდეგი კრიტერიუმებით: საკითხის დასმა, საკითხის გადაწყვეტის გზა; მიღებული შედეგები, მათი არგუმენტირებული დასაბუთება და სხვ. სემინარში მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობაა სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება მინიმუმ 31 ქულით. სასემინარო ნაშრომის პრეზენტაციას, დისკუსიაში მონაწილეობას (15-25 წუთი) აფასებს სპეციალური კომისია (რომელშიც შედის არაუმცირეს 3 პირისა, მათ შორის სამეცნიერო ხელმძღვანელი). სემინარის დაცვის საბოლოო შეფასება აისახება უწყისში (შეფასების ფორმა განსაზღვრულია ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით). სემინარი დაცულად ჩაითვლება, თუკი დოქტორანტი საბოლოოდ მიიღებს არანაკლებ 51 ქულისა.

რაც შეეხება დოქტორანტის კოლოკვიუმს, რომელიც დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილია, დოქტორანტი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს კოლოკვიუმის ბეჭდურ და ელექტრონული ვერსიას, რომელიც გადაეცემა შესაბამისი კვალიფიკაციის რევენუენტს. კოლოკვიუმი მოიცავს დოქტორანტის საჯარო მოხსენებას, რევენუენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის წარდგენას და დისკუსიას.

სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის წარდგენისა და საჯარო დაცვის პროცედურები გაწერილია ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებაში და რეგულირდება სადისერტაციო საბჭოს დებულებით. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე შეფასების მიზნით სადისერტაციო საბჭოს მიერ იქმნება დარგობრივი სადისერტაციო კომისია. კომისიაში შედის მინიმუმ შვიდი წევრი. დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა, უფლებამოსილება და დაცვასთან დაკავშირებული პროცედურა

რეგულირდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით. დარგობრივი სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად.

დადებითი შეფასების შემთხვევაში დარგობრივი სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დოქტორანტს შესაბამისი დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის წარდგენის ერთ-ერთი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს რომ დოქტორანტს ქართველი სამეცნიერო ხელმძღვანელის პარალელურად შეიძლება ჰყავდეს უცხოელი თანახელმძღვანელი ან სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებელი არის დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი ან სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებულ ვერსიას (ავტორეფერატს) აქვს საერთაშორისო რეცენზია.

დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას ახორციელებს მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი, ამასთან, იგი დოქტორანტს სისტემატიურად უწევს კონსულტაციებს პროგრამისა და საკვლევითი თემის სპეციფიკის შესაბამისად.

ბსუ-ში შემუშავებულია სასწავლო პროცესში პლაგიატის გამოვლინებისა და რეაგირების პროცედურა, რომელიც გაწერილია ბსუ-ს ეთიკის კოდექსში და ბსუ-ში „აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესში“.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა, დანართი 2.6.1
 - თვითშეფასებას ანგარიში და საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.6.1)
 - სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 2.6.2)
 - ვებ-გვერდი და ელექტრონული პორტალი (დანართი 2.6.4) <https://portal.bsu.edu.ge>
 - გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია (დანართი 2.6.5)
 - სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 2.6.8)
 - სტუდენტთა გზამკვლევი <https://bsu.edu.ge/main/page/2-269/index.html> (დანართი 2.6.3)
 - ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი სწავლის განმავლობაში იღებს სათანადო ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, შეფასებებსა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე უნივერსიტეტის შემდეგი ადამინისტრაციული და აკადემიური სამსახურების ერთეულებისგან: სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტური პორტალი, უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი.

სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულების თანახმად დეპარტამენტს აკისრია შემდეგი ფუნქციები: უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალის ადმინისტრირება, სხვადასხვა სოციალური პროექტების მომზადება და განხორციელების ხელშეწყობა; საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსების, პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გაცნობა; სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, მათი ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება და ა.შ.

ინტერვიუს, თვითშეფასების ანგარიშის და დოკუმენტაციიდან გამომდინარე აღსანიშნავია ბსუ-ს ელექტრონული პორტალი და მისი გამოყენება, რომელიც ამომწურავ ინფორმაციას აწოდებს სტუდენტს სასწავლო განრიგზე, სასწავლო კომპონენტებსა და მიმდინარე შეფასებების შესახებ.

ადმინისტრაციული პერსონალის გარდა, ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი იღებს დახმარებას აკადემიური პერსონალისგან სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტური კონსულტირების მეშვეობით: შუალედური და საბოლოო გამოცდის ფორმატის, მიმდინარეობისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით და სხვა. აკადემიური პერსონალის საკომსულტაციო განრიგი ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტში, ასევე ელექტრონულ ვებ-გვერდზე. ინტერვიუს მეშვეობით გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალი მუდმივ კავშირზეა სტუდენტებთან ტელეფონის და ელექტრონული მედიის საშუალებით.

სტუდენტების ინტერვიუებისას მკაფიოდ იყო აღნიშნული პროგრამის მხარდაჭერა მათ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაში.

ბსუ-ში ასევე წარმოდგენილია კურატორთა სისტემა, რის ვალდებულებებშიც გაწერილია სამუშაო გეგმის გაწერა, ლექცია - სემინარებზე სტუდენტთა დასწრების მონიტორინგი და სისტემატიური გაცდენის შემთხვევაში მიზეზის გამოვლენისა და აღმოფხვრის ხელშეწყობა, სტუდენტის მიერ აკადემიური რეგისტრაციის გავლის ხელშეწყობა, საუნივერსიტეტო ცხოვრების ძირითად მოვლენებზე სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება, კურიკულუმის გარე საქმიანობის (დასვენება, ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები, მუსიკალური საღამოების) სათანადო ორგანიზების ხელშეწყობა და სხვა.

აგრეთვე აღსანიშნავია პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ინფორმირებულობა და მონაწილეობის მიღება ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებზე, ღონისძიებებსა და კონფერენციებზე. სტუდენტების დიდი რაოდენობა იღებს მონაწილეობას საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებში. ბსუ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება, სადაც დეტალურად გაწერილია სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების მიზნები, მონაწილეობის კრიტერიუმები, სამეცნიერო ნაშრომის შესრულება-გაფორმება, საკონფერენციო ნაშრომების შერჩევის წესი და სხვა. სტუდენტებს მიეწოდებათ სათანადო ინფორმაცია ელექტრონული პორტალისა და უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით.

ბსუ-ში არსებობს სტიპენდიების და სოციალური შედავათების პრაქტიკა, როგორცაა საუნივერსიტეტო სახელობის სტიპენდია, საფაკულტეტო სახელობის სტიპენდიები (მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის) და სხვა.

ბსუ-ში ხორციელდება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების შეხვედრები, როგორც ადგილზე ასევე ონლაინ ფორმატში, სადაც დამსაქმებლები ეცნობიან საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს და სტრუქტურას, წარმოადგინენ რეკომენდაციებისა და რჩევებს, ასევე ყურადღება ამახვილებენ პრაქტიკულ მეცადინეობებსა და სტუდენტთა სტაჟირების პროგრამებზე.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება“
 - ელექტრონული პორტალი - <https://portal.bsu.edu.ge>
 - ინტერვიუს შედეგები
 - საკონსულტაციო განრიგი
 - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის N137 დადგენილება „ბსუ-ს ფაკულტეტების სასწავლო დეპარტამენტებში კურატორის საქმიანობის ორგანიზების შესახებ
 - ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N02 გადაწყვეტილება, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ
 - ბსუ-ს ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge
 - ბსუ-ს სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია - 2021 - <https://bsu.edu.ge/main/page/14627/index.html>
 - შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან - <https://www.bsu.edu.ge/sub-11/page/14412/index.html>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების შესაბამისად დოქტორანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს ან სხვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ასევე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო თანამდებობის პირი. ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. ასევე დასაშვებია დოქტორანტს ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი, მათ შორის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამის დარგში სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, ისევე როგორც ხელმძღვანელი უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან.

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის მიხედვით გათვალისწინებულია სადოქტორო ხელმძღვანელობის საათები, რომელიც ითვალისწინებს სწავლების ექვსი სემესტრის განმავლობაში 100 საათის დატვირთვას (პირველი სასწავლო წლის ბოლოს ანაზღაურდება 20 საათი, მეორე სასწავლო წლიდან ყოველი სემესტრის ბოლოს - 20 საათი; თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში 100 საათი ნაწილდება პროპორციულად-სემესტრულად). ასევე ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად დასაშვებია ერთი პირის მიერ ერთდროულად

რვა სადოქტორო/სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, მათ შორის არაუმეტეს ორი სადოქტორო და არაუმეტეს სამი სამაგისტრო ნაშრომის ან ერთდროულად არაუმეტეს ხუთი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტის სტატუსის შეჩერებული დოქტორანტის ან მაგისტრანტის ნაშრომი არ ჩაითვლება განსაზღვრულ რაოდენობაში.

ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს აქვთ რეგულარული კონსულტაციები ხელმძღვანელთან საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბსუ-ს აქვს შემუშავებული დოქტორანტურის გზამკვლევი, სადაც აღწერილია დოქტორანტურასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი: დოქტორანტურაში ჩარიცხვის საფუძვლები, დოქტორანტის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია, სწავლის პერიოდი (სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები), სასწავლო და კვლევითი გეგმა, სადისერტაციო ნაშრომის განხილვა/აპრობაცია და სხვა. ზემოაღნიშნული გზამკვლევი ადვილად ხელმისაწვდომია ონლაინ სივრცეში ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ბსუ-ში შემუშავებულია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი, რომლის მიზანია ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების, სამეცნიერო კვლევების წარმოების, ამ კვლევების შედეგების (მაგ. ნაშრომი ან/და სტატია და სხვა) გავრცელების პროცესში საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ეთიკური ნორმების და სტანდარტების აღიარება და დაცვა. ზემოაღნიშნული წესის მიხედვით პლაგიატის პრევენციისთვის ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- ბსუ-ს პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება პლაგიატის დაუშვებლობის შესახებ
- სტუდენტთა მიერ შესრულებული სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის წარმოდგენილი ნაშრომების ანტიპლაგის პროგრამით შემოწმება

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტის გზამკვლევი: <https://bsu.edu.ge/sub-53/page/2-420/index.html>
- ბსუ დოქტორანტურის დებულება: https://bsu.edu.ge/upload/doqtoranturis_debuleba_2017.pdf
- საგანმანათლებლო პროგრამა
- „ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვი-თარე-ბის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37
- დოქტორანტების ხელმძღვანელთა CV – ბსუ ვებ-გვერდი
- დოქტორანტების ხელმძღვანელთა პირადი საქმეები
- საკონსულტაციო განრიგი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
<ul style="list-style-type: none">➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>ბათუმის უნივერსიტეტის ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მათი პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება ადეკვატურია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისა და კომპეტენციათა გამომუშავებისათვის. მათი საქმიანობა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული გეგმისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით. ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე.</p> <p>უნივერსიტეტმა წარმოადგინა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აქტივობების ჩამონათვალი დანართი „პერსონალის აქტივობა“ სადაც გაწერლია პროგრამის განმახორციელები პერსონალი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე შესრულებული აქტივობები, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისა და მოხსენებების სია.</p> <ul style="list-style-type: none">ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 162საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 179ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 238საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 118 <p>აღნიშნულ დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია წამყვანი პერსონალის მრავალი პედაგოგიური თუ სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები, როგორც საერთაშორისო ასევე ეროვნულ დონეზე, მათ შორის: სამეცნიერო ფორუმები, სტაჟირებები, ტრენინგები, საერთაშორისო საგრანტო და შიდასაუნივერსიტეტო პროექტები, გაცვლითი პროგრამები და სხვა. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია ასევე სრულ შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ მოთხოვნებთან.</p> <p>აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას.</p> <p>ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო განხორციელებაში ჩართულია 26 პერსონალი. მათ შორის 17 აკადემიური, (მათ შორის 16 აფილირებული), 5 მოწვეული და 4 მეცნიერია. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მეცნიერთა ჩართულობა უზრუნველყოფს, როგორც სასწავლო პროგრამის განხორციელებას, ასევე შესაბამისი კვლევისა და მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (21/5), ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (26/14).</p> <p>აკადემიური თანამდებობის პირს, აფილირების გათვალისწინებით „ა“, „ბ“, ან „გ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვა (სააუდიტორიო, საკონსულტაციო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა აქტივობა) შეიძლება ჰქონდეს. აკადემიურ პირთა სავალდებულო წლიური დატვირთვის ოდენობა კატეგორიების მიხედვით განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. აღნიშნული ცალსახად უზრუნველყოფს წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მდგრადობას.</p> <p>წარმოდგენილი ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამა ხაზს უსვამს ბიოლოგიის მულტიდისცილინარულ ასპექტს, მასში წარმოდგენილია ბიოლოგიის ისეთი მიმართულებებს შემკვიდრული დაავადებები,</p>

უჯრედული ბიოტექნოლოგია, ციტომბრიოლოგია, მოლეკულური გენეტიკა, რეგიონალური (კოლხეთის) ფლორა, ბიოლოგიური ოკეანოლოგია, გამოყენებითი იმუნოლოგია, მიკრობული სამყარო, გამომდინარე პროგრამასი დასაქმებული პერსონალი წარმოადგეს აჭარის რეგიონში ბიოლოგიური პროფილის მქონე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებში დასაქმებულ კადრებს, რომელთა კვალიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება ცალსახას საკმარისია ბიოლოგიის პროფილის ახალგაზრდა მეცნიერი აღზრდისათვის.

პროგრამის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ბიოლოგიის დარგის წამყვან სპეციალისტებს, პუბლიკაციების მაღალი ციტირების ინდექსით, მათ უდავოდ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“ სადაც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შესამუშავებლად მათ გაითვალისწინეს ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.

პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უშუალოდაა ჩართული პროგრამის სწორად და ეფექტურად წარმართვის საქმიანობაში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
 - პროგრამის ხელმძღვანელების პირადი ფაილები;
 - სასწავლო კურსების სილაბუსები;
 - პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელშეკრულებები;
 - გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან;
 - გასაუბრება კურსდამთავრებულელებულეებთან;
 - გასაუბრება დამსაქმებულეებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება „ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტში დანერგილია აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ელექტრონული სისტემა (<https://apa.bsu.edu.ge>), სისტემა ინოვაციურია და ჩვენი აზრით იმსახურებს ყურადღებას, რათა მოხდეს მსგავსი ინოვაციების დანერგვა ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

უნივერსიტეტმა დანართის სახით წარმოადგინა - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი“, რომელიც არეგულირებს და ხელს უწყობს, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების დაფინანსების საკითხებს, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობისთვის.

პერსონალის

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას ხელს უწყობს უნივერსიტეტში დანერგილი შიდა საგრანტო კონკურსები, საზაფხულო/ზამთრის სკოლების ორგანიზება და დაფინანსება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

სადოქტორო პროგრამის პედაგოგიური პერსონალი ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ საგრანტო პროექტებში, პროექტების იმპლემენტაცია, ხორციელდება რეგიონის სხვადასხვა წამყვანი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ჩართულობით, რაც მისასაღებელია.

ხაზი უნდა გაესვას საგრანტო პროექტებში დოქტორანტურის სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობას, რაც ერთი-ორად ზრდის როგორც პროექტების სამეცნიერო-კვლევით ასევე საგანმანათლებლო ღირებულებას, პედაგოგებისა თუ სტუდენტების პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები როგორც ადგილობრივ, ასევე მსოფლიოს მრავალ წამყვან სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და მათ შორისაა: ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღი, მტირალას ეროვნული პარკი, „დაცული ტერიტორიების სააგენტო“, შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, „აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო“, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს - მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი, სსიპ აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიული კვლევების ცენტრი, შპს „Geomax International (“Vanrik Agro Group)“, შპს „გამა კონსალტინგი“ და სხვა.

ხაზი უნდა გაესვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მხარდაჭერას, მათი უსუალო დაფინანსებით ხდება უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ლექციებისა და ტრენინგების ჩატარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, რაც ხელს უწყობს, როგორც პერსონალის პროფესიულ ზრდას, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები;
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი;
- სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ;
- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის შესახებ“;
- აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ელექტრონული სისტემა
- <https://apa.bsu.edu.ge>;
- გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება კურსდამთავრებულთაგან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- გასაუბრებები დამსაქმებელთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის ანალიზი, უნივერსიტეტის ლაბორატორიული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ბაზების დათვალიერება, წარმოდგენილი ხელშეკრულებები და მემორანდუმები, გასაუბრებების ციკლი გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია წარმოდგენილი ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის და დასახული შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა.

კერძოდ წარმოდგენილი პროგრამის იმპლემენტაციისთვის უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული კლინიკური ობიექტები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, სრულად არის აღჭურვილი ყველა აუცილებელი შესაძლებლობებით, ლაბორატორიული ტექნიკით და ბიოუსაფრთხოების შესაბამისი დონეებით. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი გამოცემლობა და სტამბა.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ბიბლიოთეკას, რომელიც წარმოდგენილია რამოდენიმე სამკითხველო სივრცით და აღჭურვილია თანამედროვე ციფრული ტექნიკით, ღია და დახურულ სპორტულ დარბაზებს, სტუდენტთა და პედაგოგთა თავისუფალი შეხვედრებისა და დასასვენებელ სივრცეებს (სივრცე „ეკოპაზი“), საკონფერენციო დარბაზებს და სხვა.

ბიბლიოთეკაში სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა წარმოდგენილია ფართოდ, როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული რესურსებით, ხელმისაწვდომია ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის.

ბსუ დარეგისტრირებულია პროექტში “ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - eIFL“ კონსორციუმის წევრად, რაც ქმნის შესაძლებლობას გამოყენებული იქნეს ისეთი ელექტრონული რესურსები როგორებიცაა: Cambridge University Journals; Oxford University Journals; Oxford Reference Online; Royal Society Journals Collection და სხვა.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია, დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიული ცენტრი, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და კომპიუტერული ტექნიკით, ასევე ბსუ-ის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბაზა რომელიც მოიცავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 1557, 4 კვ.მ შენობა-ნაგებობებს და მათზე დამაგრებული 4073 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს.

როგორც აღინიშნა წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აჭარის რეგიონის ბიოლოგიური პროფილის მქონე ინსტიტუციები, უახლესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალით. წარმოდგენილი ხელშეკრულებები და მემორანდუმები როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან ცალსახად მისასალმებელი და საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს წარმართლოს წამოდგენილი უმაღლესი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები.

ხაზი უნდა გაესვას პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ მემორანდუმებს აჭარის ავტონომიური რეესპუბლიკის, უდავოდ მსოფლიოს მასშტაბით, უნიკალურ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, პარკებთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოებთან, როგორებიცაა: ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მტირალას ეროვნული პარკი, კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო-მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის, შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“, „აჭარის არ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს“, გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სსიპ აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიული კვლევების ცენტრი, შპს „Geomax International“ (Vanrik Agro Group); შპს „გამა კონსალტინგი“, ა(ა)იპ „საბუკო“ - საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“; ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი; ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური და სხვა.

როგორც სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალი, ასევე სტუდენტები, რეგიონში არსებული ბიოლოგიური პროფილის მქონე სტრუქტურები და ინსტიტუციები სრულად არიან ინფორმირებულები ყველა იმ შესაძლებლობების და რესურსების შესახებ რაც გააჩნია უნივერსიტეტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

<ul style="list-style-type: none"> • ვიზიტი უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დათვალიერების მიზნით; • ონლაინ ჩართვები დამსაქმებლებთან და მათთან გასაუბრება; • ვიდეოფაილი ინფრასტრუქტურის და შესაძლებლობის სადემონსტრაციოდ; • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები; • გასაუბრებები აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, ადმინისტრაციასთან; • ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტმა წარმოგვიდგინა ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი სადაც დაწვრილებითაა გაწერილი როგორც პროგრამის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილი. ბიუჯეტი გათვკლილია 4 სტუდენტზე, წლიური გადასახადით თვითოეულისათვის 3000 ლარი, და შეადგენს 36.000 ლარს</p> <p>ბიუჯეტი, ხარჯვით ნაწილში ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 27.480 ლარი (3 წლის განმავლობაში), საიდანაც:</p> <p>ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შრომის ანაზღაურება - 9.080 ლარი; ✓ რეცენზირება და საჯარო დაცვა - 4.000 ლარი ✓ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრირების, გადასახადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, მოვლა-შენახვის ხარჯი და სხვა. (ზედნადები ხარჯი) - 14.400 ლარი; <p>პროგრამის ბიუჯეტის ანალიზი გვაჩვენებს, რომ პროგრამისგან მიღებული მოგება შეადგენს 8520 ლარს 3 წლის განმავლობაში.</p> <p>ინტერვიუს დროს უსდ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ პროგრამით მიღებული თხები აისახება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში და ითვალისწინებს, სახელმძღვანელოების, მივლინების, სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის, ქსეროქსის და სხვადასხვა მომსახურების ხარჯებს. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ასევე ხდება დამატებითი ფინანსების გამოყოფა კვლევისთვის.</p> <p>ინსტიტუცია წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; • ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრება უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურების წარმომადგენლებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარი მოქმედების არეალში ეყდნობა არამხოლოდ საერთაშორისო რეგულაციებსა და დოკუმენტაციას, არამედ საკუთრივ უნივერსიტეტში შემუშავებულ არაერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც საფუძველს ქმნის უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებისათვის. საუნივერსიტეტოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის მნიშვნელოვანი ერთეული, რომელიც არათუ აწესრიგებს სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების პროცესებს საუნივერსიტეტო მასშტაბით, არამედ მას აკისრია ლიდერული პოზიცია, სიახლეებისა და ინოვაციების დაგეგმვისა და განვითარების თვალსაზრისით.

საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, გამომდინარე საფაკულტეტო და დარგობრივი სპეციფიკიდან, ინდივიდუალურად ხედავს და აფასებს კონკრეტულ პროცესებს და მაქსიმალურადაა ჩართული წინამდებარე პროცესების განვითარებასა და იმპლემენტაციაში სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების პროცესებში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა დეტალურადაა გადმოცემული *საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში*. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს *აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი* და ასევე *უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტიც* (მომზადებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG), საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმისა და სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით), რაც მიმართულია ინსტიტუციური ხარისხის მუდმივ განვითარებაზე.

პოლიტიკის დოკუმენტი აგებულია სამი არსებითი მიმართულებით, კერძოდ, ის ორგანიზებას უწევს ყველა საუნივერსიტეტო პროცესის უზრუნველყოფას, გამჭვირვალობას, აკადემიურ

კეთილსინდისიერებასა და ანგარიშვალდებულებას, რაც უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა უნივერსიტეტის უწყვეტი მდგრადი განვითარებისათვის და სულ უფრო რეალურად ამკვიდრებს ინსტიტუციაში ხარისხის კულტურას. ამ პროცესების საფუძველია აკადემიურ პროცესებში ყველა დაინტერესებული პირის აქტიური ჩართულობა.

პოლიტიკის დოკუმენტი დეტალურადაა გაწერილი და მოიცავს აკადემიური ინსტიტუციის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს, კერძოდ, **სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება; პერსონალის საქმიანობისა და განვითარების პროცედურა; პერსონალის შეფასება და პროფესიული წინსვლა; სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასება და სრულყოფა; სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია.**

ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაეცნო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების წესს, სადაც დეტალურად არის აღწერილი პროგრამის მომზადების პროცესი, ასევე მისი განახლებისა და შეფასების პროცესები. წინამდებარე დოკუმენტი თანმიმდევრულად გადმოსცემს აკადემიური პროგრამების სტანდარტების თავისებურებებს, მაგრამ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შევიდეს კორექტურა მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში, სადაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტმოცულობაში დაფიქსირებულია 180 კრედიტი, რაც ამ ფორმითარ გადმოსულა საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტში. მიგვაჩნის, რომ ორმაგი წაკითხვის თავიდან არიდების მიზნით მნიშვნელოვნია გასწორდეს საუნივერსიტეტო რეგულაციის ტექსტში შესაბამისი ჩანაწერი.

მნიშვნელოვან და საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია ელექტრონული პორტალის არსებობა, სადაც ამ ეტაპზე ფაქტობრივად სრულადაა ჩაშენებული სტუდენტური აკადემიური თემები, რომლის მეშვეობით, ერთი მხრივ, სტუდენტს აქვს წვდომა უახლეს ინფორმაციებზე, ხოლო, მეორე მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საშუალება ეძლევა მიიღოს ყველა მონაცემი და არსებითი უკუგება სტუდენტური სივრციდან, შეიმუშაოს სწავლებისა და კვლევის გასაუმჯობესებელი ახალი ამოცანები და დასახოს მიზნები მათ გასაუმჯობესებლად. ამ ეტაპზე მუშაობა მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის მსგავსი პორტალის სრულყოფაზე, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს უსდ-ს ბევრ მნიშვნელოვან თემზე მხარი დაუჭიროს აკადემიურ პერსონალს და ხელი შეუწყოს მათ აკადემიურ წინსვლას.

წინამდებარე პორტალი ასევე მნიშვნელოვანი პროგრამული უზრუნველყოფაა დამსაქმებლებისგან ინფორმაციის მიღების მიზნით.

მოცემული დოკუმენტები დეტალურად და თანმიმდევრულად ასახავენ ყველა პროცესსა და პროცედურას, რომელსაც ინსტიტუციის შიდა ხარისხის შეფასება გულისხმობს. ამას გარდა ადგილზე წარმართული ინტერვიუების შედეგად ექსპერტთა ჯგუფს ნათელი წარმოდგენა შეექმნა დოკუმენტურად წარმოდგენილი რეგულაციების თაობაზე, თუმცა რამდენიმე დეტალის გაუმჯობესება და გაფართოება მნიშვნელოვანი იქნება საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, საფაკულტეტო ადმინისტრაცია, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები მუდმივად ჩართულნი არიან აკადემიური პროცესებსა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ ეტაპობრივად და უფრო აქტიურად ტარდებოდეს ვორკშოპები პროგრამის განვითარებით დაინტერესებულ პირთათვის, მით უფრო, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი აქტიურად არის დაინტერესებული შიდა ხარისხის შეფასების პროცესებით.

შიდა შეფასების მასალების გაცნობამ აჩვენა, რომ ინსტიტუცია შიდა შეფასებას ხედავს, გარე შეფასების ერთგვარ წინაპირობად, რაც რეალისტურია და განხორციელებადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგებლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის N10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **საჯარო სამართლი იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება** (დ. 5.1.1);
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის, 14 აგვისტოს N06-01/91 დადგენილება **ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ** (დ. 5.1.2);
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 15 ივნისის N37 დადგენილება **ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ** (დ. 5.1.4);
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის, 14 აგვისტოს N06-01/91 დადგენილება **ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ** (დ. 5.1.8);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები (გამოკითხვები)(დ. 5.1.10);
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები;
- ფაქტობრივი ვითარება.

რეკომენდაციები:
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> დაკორექტირდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 15 ივნისის N37 დადგენილების <i>ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ</i> მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი და მოვიდეს თავსებადობაში საკანონმდებლო ნორმებთან; რეგულარულად მომზადდეს ვოკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> საუნივერსიტეტო ელექტრონული პორტალი, რომლის საინფორმაციო მონაცემები მაქსიმალურად ზუსტ ინფორმაციას იძლევა შიდა ხარისხის განვითარების ზუსტად დაგეგმვის მიზნით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2. გარე ხარისხის შეფასება
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სარეაქტივაციო პორტფოლიოს თანმდევ თვითშეფასების ანგარიშში საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებს დეტალურად აქვს წარმოდგენილი ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც პროგრამას წარდგენილი ქონდა ხარისხის გარე შეფასების შემდგომ, კერძოდ კი, 2011 (25.11.2021, N344) წლის აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასების შედეგად. ამას გარდა, საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასება შესაძლებელი გახდა ავტორიზაციის პროცესში.</p> <p>წინამდებარე პროცესების შედეგად საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში დაემატა დარგობრივი სასწავლო კურსები (სავალდებულო არჩევითი სტატუსით) დარგის უახლესი მიღწევებზე დამყარებული ცოდნის გასაფართოებლად, რაც რეალიზებულია საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილ პაკეტში და ებმის დოქტორანტის კვლევით თემას.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები, გარე შეფასების მექანიზმს ახორციელებენ პერმანენტულად, შესაბამისად, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის მონაცემები ასევე ჩაშენებულია ელექტრონულ პორტალში, რაც რეგულარულად ინფორმაციას აწვდის საფაკულტეტოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დგება შესაბამისი ფოკუს-ჯგუფები და ეწყობა ცალკეული რეკომენდაციების განხილვა.</p> <p>გარე კოლეგიურ შეფასებას პროგრამის განმახორციელებლები ასევე მიმართავენ ქვეყნის შიგნით დარგის ექსპერტებთან კონსულტაციებით, რაც ასევე განხორციელდა წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამისათვის. სახელდობრ, კურიკულუმი შეფასდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის, აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის თამარ კაჭარავს მიერ. საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო დარგობრივი რეკომენდაციები სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის, რაც პროგრამის განმახორციელებელთა მიერ გათვალისწინებულ იქნა.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამას აქვს დამსაქმებელთა გარე შეფასების რეგისტრიც, რაც უწინარეს ყოვლისა უკავშირდება რეკომენდაციებს, კერძოდ კი, დარგობრივი მიღწევების აქტიურ იმპლემენტაციას როგორც სასწავლო ისე, კვლევით პროცესებში. პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა მიიღო რეკომენდაცია ექსპერიმენტული კვლევის მეთოდებისა და ტექნოლოგიების სასწავლო კურსში პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობათა წილის გაზრდაზე, რაც ექსპერტთა მოსაზრებით გააფართოვდება კვლევის შედეგების სპექტრს. ზემოხსენებული რეკომენდაციები გაიწერა კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე სრული დატვირთვით დასაქმების მიზნით, ვინაიდან მსგავსი პროფესიული მომზადების შემდგომ დამსაქმებელი დამატებითი გადამზადების გარეშე სრული სიმძლავრით ასაქმებს</p>

კურსდამთავრებულს დასაქმების ადგილზე.
 საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მიზნით სასურველია, თუ პროგრამა გააფართოვებდა ინტერნაციონალიზაციის არეალს და პროგრამის გარე ხარისხის შეფასება მომზადებული იქნებოდა უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ. მოცემული რჩევის დამუშავება პროგრამის განმახორციელებელთა მხრიდან ხელს შეუწყობდა პროგრამის ცნობადობას უცხოელ დარგის ექსპერტთა, კოლაბორატორთა და ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელთა შორის და თავის მხრივ, საფუძველს დაუდებდა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ახალ ეტაპს.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ (დ. 5.2.1);
 - ბსუ-ს ხარისხის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები (დ. 5.2.3);
 - პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება (დ. 5.2.4);
 - დამსაქმებელთა გამოკითხვა (დ. 5.2.6);
 - კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (დ. 5.2.7);
 - ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები;
 - ფაქტობრივი ვითარება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების და მისი საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიური შეფასება საერთაშორისო ექსპერტთა მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განვითარებულია რეგიონისთვის სპეციფიკური დარგები და მნიშვნელოვანი კვლევები;
- კვლევების მიმართულებით მჭიდრო კავშირი პრაქტიკისა და კვლევის ობიექტებთან.

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში, რომელშიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს, ასევე ჩართულია ელექტრონული პორტალი, იმდენად რამდენადაც აქ გროვდება გამოკითხვების ძირითადი ინფორმაცია, რომლის დამუშავება და ანალიზი რეგულარულ წარმოდგენას იძლევა პროგრამის რეალურ ვითარებაზე. მონიტორინგის ნაწილში უმაღლესი სასწავლებელი:

- ✓ აანალიზებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგებს;
- ✓ აანალიზებს სტუდენტთა გამოკითხვებს;
- ✓ აფასებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობას;
- ✓ აფასებს სასწავლო და საგამოცდო მასალებს;
- ✓ აანალიზებს გამოცდების შედეგებს;
- ✓ აკვირდება საგამოცდო პროცესს;
- ✓ აკვირდება სასწავლო პროცესს.

.....

ასევე იწარმოება გამოკითხვები:

- ✓ კურსდამთავრებულთა;
- ✓ დამსაქმებელთა;
- ✓ და სხვა დაინტერესებულ პირთა.

ანალიზის შედეგად დგინდება:

- ✓ არსებული ხარვეზები;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციის დონე.

მონიტორინგის პროცესი პროგრამის განმახორციელებლებმა გამოიყენეს კურიკულუმის განვითარების მიზნით. მათ შორის აქცენტი გაკეთდა კვლევითი ელემენტის გაძიებაზე, რაც გამოიხატა სასწავლო გეგმაში *სპეციალიზაციაზე ფოკუსირებული კვლევის მეთოდების* დამატებით, ასევე სასწავლო კურსებში *პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობის* და *ექსპერიმენტული კვლევის თანამედროვე მეთოდების* წილის გაზრდით. გამოკითხვებზე დაყრდნობით შეიცვალა კვლევითი ინფრასტრუქტურა (გაიხსნა მორფოლოგიისა და მარიკულტურის ლაბორატორიები).

უსდ-ს მიერ მოწოდებული მასალების, ინტერვიუებისა და ინფრასტრუქტურის გაცნობამ დაადასტურა ის ცვლილებები, რაც განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული გასაუმჯობესებელი ცვლილებების ქრონოლოგია მიუთითებს მასზე, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მაქსიმალურად მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და სტანდარტიზების პროცესებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები - (დ. 5.2.2);
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება *ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ* (დ. 5.3.1);
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები (დ. 5.3.3);
- პროგრამის შეფასების შედეგები, გამოკითხვა (დ. 5.3.4);
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები;
- ფაქტობრივი ვითარება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- კვლევითი და ექსპერიმენტული კომპონენტების ინტენსიფიკაცია საგანმანათლებლო პროგრამაში;
- კვლევითი ინფრასტრუქტურის გაფართოება.

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
 სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახლმწიფო უნივერსიტეტი


უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის



ბესარიონ ლასარეიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის




ნათია ლაჭავა



ნინო ქიმერიძე



ლევან ციციშვილი



ლანა ბოკუჩავა